სოციალური თემატიკა საინფორმაციო პროგრამებში

კვლევის ავტორი: ქეთი მსხილაძე
პერიოდი: 11 ოქტომბერი - 11 ნოემბერი, 2011

კვლევის მიმოხილვა

წინამდებარე კვლევის საგანი სატელევიზიო არხების საინფორმაციო პროგრამებში სოციალური თემატიკის გაშუქება იყო. დაკვირვების ობიექტებად შეირჩა ხუთი ტელეკომპანიის - 1-ლი არხის, რუსთავი 2-ის, იმედის, მაესტროსა და კავკასიის დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები. კვლევა ტარდებოდა ერთი თვის განმავლობაში - 2011 წლის 11 ოქტომბრიდან 11 ნოემბრის ჩათვლით.

კვლევის საგნად ამ თემის არჩევა შემდეგმა ფაქტორმა განაპირობა: ქვეყანაში არსებული პოლიტიზებული გარემო, ბუნებრივია, მედიაზეც აისახება. ამ გარემომ ზემოთ დასახელებული ტელევიზიები, პირობითად, ორ ბანაკად ჩამოაყალიბა. ამ დაყოფის მიხედვით პირველი არხი, რუსთავი 2 და იმედი სახელისუფლებო ტელევიზიებად მიიჩნევა, ხოლო კავკასია და მაესტრო ოპოზიციურ არხებად. შესაბამისად, ამ ორ ბანაკს შორის კონკურენციაც პოლიტიზებული ხასიათისაა. ამ მარათონში სატელევიზიო არხების საინფორმაციო გამოშვებები პოლიტიკური მოვლენების გაშუქებაზე არიან ფოკუსირებული და ნაკლებ დროსა და ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებს. შესაბამისად, ტელემაყურებელი ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარეშე რჩება. საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ერთ-ერთ ასეთ თემას სოციალური საკითხები წარმოადგენს.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგი შემდეგ ასპექტების გამოვლენას ითვალისწინებდა: საინფორმაციო გამოშვებების რა წილი ეთმობა სოციალური თემის გაშუქებას; ენიჭება თუ არა რომელიმე სოციალურ საკითხს პრიორიტეტი ამა თუ იმ ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში; რამდენად მრავალფეროვანია სოციალური თემატიკა და რა სოციალური საკითხები შუქდება; შუქდება თუ არა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები; რიგით მერამდენე მასალად გადის საინფორმაციო გამოშვებაში სოციალური სიუჟეტი; რა ტიპის მასალით შუქდება - სიუჟეტით თუ კადრ-სინქრონით (კადრ-სინქრონი მხოლოდ მომხდარი ამბის კადრების და ამ ამბის მონაწილეთა კომენტარებით შემოიფარგლება,

ხოლო სიუჟეტი საკითხის უფრო სიღმისეულ კვლევას გულისხმობს); რა სხვაობა და განსხვავებაა სოციალური თემატიკის გაშუქებაში ტელევიზიებს შორის.

მონიტორინგის პერიოდში გაშუქებული სოციალური თემები, პირობითად, შემდეგ კატეგორიებად დაჯგუფდა: ჯანდაცვა, განათლება, მომსახურება, ინფრასტრუქტურა, უფლებები, ეკოლოგია, მედია და სოფლის მეურნეობა. ჯანდაცვის ჯგუფში შევიდა მასალები, რომლებიც ეხებოდა სამედიცინო მომსახურებას, სხვადასხვა დაავადებებს, ცხოვრების ჯანსაღ წესს, სურსათის უვნებლობას და სამედიცინო დავებს. განათლების ჯგუფში გაერთიანდა განათლების სისტემის საკითხები, სკოლების რეაბილიტაცია, სასკოლო დავები. მომსახურების ჯგუფში მოხვდა მასალა, რომელშიც შუქდებოდა კომუნალური პრობლემები, კომუნალური მომსახურება, სოციალური დაცვა (პენსიები, დაზღვევა), შემწეობები, ასევე სალიცენზიო, საგადასახადო თუ სხვა სახის მომსახურების საკითხები. ინფრასტრუქტურის კატეგორიაში გაერთიანდა ყველა ის მასალა, რომელიც სხვადასხვა ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, ახალი ობიექტების გახსნას, გარემოს კეთილმოწყობას, ტურიზმის და ზოგადად, ინფრასტრუქტურის განვითარებას ეხებოდა. უფლებების კატეგორიაში გაერთიანდა ის მასალები, რომლებიც ეხებოდა როგორც ზოგადად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, ასევე ნებისმიერი სოციალური ჯგუფისა თუ პროფესიის ადამიანების კონკრეტული უფლებების დაცვას (უმუშევართა; ვეტერანთა; გარემოვაჭრეთა; ლტოლვილთა; აქციონერთა უფლებები და სხვ.). ეკოლოგიის ჯგუფი მოიცავდა გარემოს დაბინძურების და ზიანის მიყენების საკითხებს. მედიის ჯგუფში მოხვდა მედიის წარმომადგენლებზე ზეწოლის, პრესის გავრცელების ჯიხურების და მედიასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, ხოლო სოფლის მეურნეობის კატეგორიაში უშუალოდ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხებთან ერთად ღვინის პოპულარიზაციის საკითხიც მოხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიზანი სოციალური სიუჟეტების შესწავლა იყო, სოციალური თემატიკის პოლიტიკისგან გამიჯვნა ვერ მოხერხდა, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში სოციალური თემა პოლიტიკასთან არის მიბმული. საერთოდ, ტელევიზიების მიერ სოციალური თემების პოლიტიზების ტენდენცია ძალზე თვალშისაცემია. სოციალურ სიუჟეტებში გაშუქებული საკითხების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურ აქტივობასთან თუ სამთავრობო ინიციატივებთან დაკავშირებით ანდა პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული (მაგალითად, ინფრასტრუქტურისა და უფლებების ჯგუფებში გაერთიანებული თითქმის ყველა სიუჟეტი).

კვლევის საგანს არ წარმოადგენდა კრიმინალზე მომზადებული სიუჟეტები. თუმცა, რამდენიმე ასეთი მასალა, რომლებიც ექიმებსა და პაციენტებს შორის დავებს და ოჯახში ძალადობას ეხებოდა, სოციალურ თემატიკად ჩაითვალა.

ზოგადი სურათი

მონიტორინგის პერიოდში, პირველი არხის, რუსთავი 2-ის, იმედის, მაესტროსა და კავკასიის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სულ 2,170 სიუჟეტი გავიდა. ზოგადად, პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებაში საშუალოდ 21 სიუჟეტი

გადის; რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებაში – საშუალოდ 19 სიუჟეტი; მაესტროსაში - 14 სიუჟეტი, იმედისაში 13 სიუჟეტი და კავკასიისაში - 11.

მონიტორინგის პერიოდში გასული 2,170 სიუჟეტიდან მხოლოდ 262 ეხებოდა სოციალურ თემას. პროცენტულად სოციალურმა სიუჟეტებმა ყველა საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტების 11% შეადგინა.



სოციალურ თემაზე ყველაზე მეტი მასალა ჰქონდა პირველი არხის „მოამბეს“ – 85, მას მოსდევდა კავკასიის „დღეს“ - 55, მაესტროს „ახალი ამბები“ - 42, იმედის „ქრონიკა“ - 41 და რუსთავი 2-ის „კურიერი“ - 39.



თემატიკის მიხედვით, ყველაზე მეტი სიუჟეტი გავიდა ჯანდაცვის (47), უფლებების დაცვის (46) და ინფრასტრუქტურის თემებზე (45); შედარებით ნაკლები მასალა მომზადდა განათლების (40) და მომსახურების (38) და ბევრად ნაკლები ეკოლოგიის (16), სოფლის მეურნეობისა და მედიის (15-15) საკითხებზე.



საინფორმაციო გამოშვებებში სოციალურ თემატიკაზე გასული მასალების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი კავკასიას (16%) ჰქონდა, რომელსაც მოყვებოდა პირველი არხი (12%), მაესტრო (11%), იმედი (10%) და რუსთავი 2 (7%). საინფორმაციო პროგრამების შედარებისას, გასათვალისწინებელია, რომ ტელეკომპანია კავკასიის საინფორმაციო გამოშვების ქრონომეტრაჟი დანარჩენი ოთხი ტელეკომპანიის საინფორმაციოების ქრონომეტრაჟის ნახევარია. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კავკასიას კულტურისა და სპორტის ბლოკები არა აქვს. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ კავკასია, რომელიც საინფორმაციო გამოშვებაში სოციალური სიუჟეტების რაოდენობით მხოლოდ პირველი არხის „მოამბეს“ ჩამორჩება, პროცენტული წილით ყველა ტელევიზიას უსწრებს.



მონიტორინგის შედეგები

ამ ტელევიზიების პირობითი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორ ჯგუფად დაყოფა საინფორმაციო გამოშვებებში გასული სოციალური სიუჟეტების თემატიკაზეც აისახება. სამი ტელევიზიის - პირველი არხის, რუსთავი 2-სა და იმედის საინფორმაციო გადაცემებში ერთ-ერთ პირორიტეტულ საკითხად - თუმცა, არა უპირობო ლიდერად, ინფრასტრუქტურა გამოვლინდა, ხოლო მაესტროსა და კავკასიის საინფორმაციოების უპირობო პრიორიტეტად - უფლებების დაცვა. ინფრასტრუქტურის საკითხები სამთავრობო ინიციატივებთან არის დაკავშირებული და ხელისუფლების აქტივობას დადებითად წარმოაჩენს, უფლებების დაცვა კი ხელისუფლების საქმიანობის კრიტიკულ გაშუქებას მოიცავს.

მონიტორინგის პერიოდში კავკასიის საინფორმაციო გამოშვებაში არც ერთი მასალა არ გასულა ინფრასტრუქტურის თემაზე, მაესტროს საინფორმაციოებში კი მხოლოდ 4 სიუჟეტი მიეძღვნა ამ თემას. უფლებების დაცვის თემა პირველმა არხმა 6-ჯერ გააშუქა, იმედმა მხოლოდ ერთხელ, ხოლო რუსთავი 2-მა ორჯერ.

პირველი არხის, რუსთავი 2-ისა და იმედის საინფორმაციო გამოშვებებს ინფრასტრუქტურის გარდა სხვა პრიორიტეტული თემებიც აქვთ. ჯანდაცვის თემატიკა ნომერი პირველი პრიორიტეტია პირველი არხისა და იმედის საინფორმაციო გამოშვებებში და ამ საკითხზე მომზადებული სიუჟეტები ინფრასტრუქტურაზე მომზადებული სიუჟეტების რაოდენობას აღემატება (4-ით პირველი არხის და 2-ით იმედის შემთხვევაში). რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვება თანაბარ პრიორიტეტს ანიჭებს განათლებისა და ინფრასტრუტურის თემებს.

კავკასიასა და მაესტროს უფლებების დაცვის გარდა რაიმე გამოკვეთილი პრიორიტეტი არა აქვთ და სხვა სოციალურ საკითხებზე მომზადებული მასალების რაოდენობა ბევრად ნაკლებია უფლებების დაცვაზე მომზადებული სიუჟეტების რაოდენობაზე.

სოციალურ სიუჟეტებს ყველაზე დიდ მნიშვნელობას პირველი არხი ანიჭებს. მონიტორინგის პერიოდში საინფორმაციო გამოშვების პირველ ბლოკში, ანუ რიგით 1-დან 5 სიუჟეტის ჩათვლით, 28 სოციალური სიუჟეტი გავიდა. ისინი ეხებოდა მომსახურების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, უფლებების და განათლების საკითხებს. მათ შორის პირველ სიუჟეტებად (სულ 4 ასეთი სიუჟეტი) მომსახურების და ჯანდაცვის საკითხებზე მომზადებული მასალები იყო.

„მოამბე“, 1-ლი არხი

თარიღი	მასალის მოკლე აღწერა	მასალის ტიპი	სიუჟეტის №	კატეგორია
08.11.11	ვალუტის გადამცვლელ ზოგიერთ ჯიხურში მოქალაქეებს ატყუებენ	სიუჟეტი	1	მომსახურება
15.10.11	აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება	სიუჟეტი	1	ჯანდაცვა
21.10.11	ჯანმრთელობისთვის საშიში გასახდომი ჩაი და ყავა.	სიუჟეტი	1	ჯანდაცვა
29.10.11	ბიოლოგიური დანამატების წამლებად გასაღება ინტერნეტით	სიუჟეტი	1	ჯანდაცვა
15.10.11	ბლექბერის ტექნიკური პრობლემები	სიუჟეტი	2	მომსახურება

09.11.11	პენსიების ზრდა და სადაზღვევო პაკეტი	სიუჟეტი	2	მომსახურება
11.10.11	თბილისში აფთიაქები წესების დარღვევის გამო დალუქეს და ლიცენზია ჩამოართვეს	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
29.10.11	ბავშვებისათვის სავალდებულო ვაქცინაცია საქართველოში	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
07.11.11	პაციენტი ლაბორატორიის წინააღმდეგ	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
08.11.11	ხორცის მიკრობიოლოგიური კვლევა; ნაწლავური ჩხირები პროდუქტში	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
29.10.11	არქეოლოგიური ტურიზმის განვითარება საქართველოში	სიუჟეტი	3	ინფრასტრუქტურა
07.11.11	ოჯახური დაპირისპირება თუ ძალადობა ფასანაურში; 60 წლის ქალბატონი ფიზიკურ ზეწოლაზე საუბრობს	სიუჟეტი	3	უფლებები
14.10.11	ჯანმრთელობისთვის საშიში „ქინდერ სიურპრიზი“	სიუჟეტი	3	ჯანდაცვა
18.10.11	იაფფასიანი კუსტარული ნარკოტიკი ოქსი	სიუჟეტი	3	ჯანდაცვა
24.10.11	ახალი ქარხანა მცხეთაში. „აქვაგეო“-ს საწარმო მისაქციელში პრეზიდენტმა გახსნა	სიუჟეტი	4	ინფრასტრუქტურა
29.10.11	თელავის რაიონში აგროტურიზმის ცენტრი გაიხსნა; პრეზიდენტი შუამთაში	სიუჟეტი	4	ინფრასტრუქტურა
21.10.11	მსოფლიოს ახალი კომპიუტერული ვირუსი ემუქრება	სიუჟეტი	4	მომსახურება
17.10.11	გარდაცვლილი პაციენტის ოჯახი ექიმების წინააღმდეგ	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
07.11.11	დარღვევები აფთიაქებში	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
10.11.11	კონტროლის ახალი მექანიზმი სურსათის უვნებლობის მხრივ	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
13.10.11.	სტუ-ში ახალი კომპიუტერული ცენტრი, სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია მიხეილ სააკაშვილმა გახსნა	სიუჟეტი	5	განათლება
07.11.11	ჯეოსელის კლასი ყვარელში და პრეზიდენტი კახეთში	სიუჟეტი	5	განათლება
22.10.11	კლიმატური ცვლილებები და გლობალური დათბობის საფრთხე	სიუჟეტი	5	ეკოლოგია
17.10.11	ახალი საცხოვრებელი უბანი ფოთში დევნილებისთვის პრეზიდენტმა გახსნა	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
24.10.11	ჭავჭავაძის გამზირის რეგილიტაცია ქუთაისში	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
03.11.11	დარღვევები „ნეომედში“; ჯანდაცვის სამინისტრომ კლინიკას ფუნქციონერება აუკრძალა	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
08.11.11	სეზონური ვირუსები საქართველოში	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
09.11.11	გარდაცვლილი პაციენტის დედა ექმიმებს უჩივის	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა

ტელეკომპანია იმედის შემთხვევაში 16 სოციალური სიუჟეტი მოხვდა საინფორმაციო გამოშვების პირველ ბლოკში, მომზადებული ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების და განათლების თემებზე. არც ერთი სიუჟეტი არ ყოფილა რიგით პირველი. რიგით მეორე სამი სოციალური სიუჟეტი ინფარსტრუქტურასა და ჯანდაცვას ეხებოდა.

„ქრონიკა“, იმედი

თარიღი	**მასალის მოკლე აღწერა**	**მასალის ტიპი**	**სიუჟეტის №**	**კატეგორია**
28.10.11	განახლებული ტყიბული და ახალი ობიექტები.	სიუჟეტი	2	ინფრასტრუქტურა
29.10.11	თელავის რაიონში აგრო ტურიზმის ცენტრი გაიხსნა.პრეზიდენტი შუამთაში	სიუჟეტი	2	ინფრასტრუქტურა
07.11.11	არის თუ არა გრიპის ეპიდემია მოსალოდნელი საქართველოში.	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
12.10.11.	ჭიათურაში კაცხის სვეტამდე მისასვლელი გზა გაკეთდა	სიუჟეტი	3	ინფრასტრუქტურა
15.10.11	კახეთში რთველი დასასრულს უახლოვდება.	სიუჟეტი	3	სოფლის მეურნეობა
04.11.11	დეზომორფინის მოხმარება და მისი შედეგები.	სიუჟეტი	3	ჯანდაცვა
13.10.11.	სტუ-ში ახალი კომპიუტერული ცენტრი, სასწავლო-სამენცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია მიხეილ სააკაშვილმა გახსნა	სიუჟეტი	4	განათლება
17.10.11	ახალი საცხოვრებელი უბანი ფოთში დევნილებისთვის პრეზიდენტმა გახსნა	სიუჟეტი	4	ინფრასტრუქტურა
29.10.11	სტომატოლოგიური მოსახურეობა მსჯავრდებულებისათვის.	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
03.11.11	ქართული ღვინის წარმატება ჩინეთში. მიხეილ სააკაშვილი ყვარელში ქართული ღვინის წარმატებაზე.	სიუჟეტი	4	სოფლის მეურნეობა
04.11.11	ცერებრალური დამბლით დაავადებული მოზარდის	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა

	მკურნალობა, დაზარალებული მოზარდი და სარცელი ექიმის წინააღმდეგ.			
07.11.11	ჯეოსელის კლასი ყვარელში და პრეზიდენტი კახეთში.	სიუჟეტი	4	განათლება
09.11.11	პენსიების ზრდა და სადაზღვევო პაკეტი.	სიუჟეტი	4	მომსახურება
20.10.11	2012 წელს პენსიები გაიზრდება და პენსიონერთა დაზღვევა მოხდება. ფინანსთა მინისტრი პარლამენტში.	სიუჟეტი	5	მომსახურება
31.10.11	საგანმანათლებლო ონლაინ თამაში. საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება.	სიუჟეტი	5	განათლება
03.11.11	ცხენისა და ვირის ხორცი თბილისის ბაზარზე.	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა

რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვების პირველ ბლოკში 13 სოციალური სიუჟეტი გავიდა, არც ერთი მათგანი არ ყოფილა 1-ლი სიუჟეტი. ამ მასალებში გაშუქდა უფლებების, სოფლის მეურნეობის, მომსახურების, ინფრასტრუქტურის, განათლებისა და ჯანდაცვის საკითხები. უფლებების დაცვაზე მომზადებული სიუჟეტი ოჯახში ძალადობას ეხებოდა.

თარიღი	**„კურიერი“, რუსთავი მასალის მოკლე აღწერა**	**მასალის ტიპი**	**სიუჟეტის №**	**კატეგორია**
29.10.11 03.11.11	ოჯახური ძალადობა და თავშესაფრები	სიუჟეტი	2	უფლებები
	ქართული ღვინის წარმატება ჩინეთში	სიუჟეტი	3	სოფლის მეურნეობა
09.11.11	პენსიების ზრდა და სადაზღვევო პაკეტი (ხელისუფლების ინიციატივა)	სიუჟეტი	3	მომსახურება
29.10.11	თელავის რაიონში აგროტურიზმის ცენტრი გაიხსნა; პრეზიდენტი შუამთაში	სიუჟეტი	4	ინფრასტრუქტურა
05.11.11	ინგლისურის გაძლიერებული სწავლება სკოლებში; მოხალისე ახალგაზრდა მასწავლებლების შერჩევა	სიუჟეტი	4	განათლება
07.11.11	ჯეოსელის კლასი ყვარელში და პრეზიდენტი კახეთში	სიუჟეტი	4	განათლება
15.10.11	საბავშვო ნეტ-ბუქების სასწავლო უპირატესობები	სიუჟეტი	5	განათლება
17.10.11	ახალი საცხოვრებელი უბანი ფოთში დევნილებისთვის პრეზიდენტმა გახსნა	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
21.10.11	ნიუ-იორკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პრეზიდენტი ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტის გასაცნობად ჩავიდა	სიუჟეტი	5	განათლება
24.10.11	მიხეილ საკაშვილმა გორში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერა	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
28.10.11	განახლებული ტყიბული და ახალი ობიექტები; პრეზიდენტი ტყიბულში	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
03.11.11	ცხენისა და ვირის ხორცი თბილისის ბაზარზე	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
10.11.11	2012 წლის სექტემბრიდან პენსიონრები დაზღვევას და გაზრდილ პენსიას მიიღებენ	სიუჟეტი	5	მომსახურება

კავკასიის საინფორმაციო გამოშვების პირველ ბლოკში 12 სოციალური სიუჟეტი მოხვდა. მხოლოდ ერთი გავიდა 1-ლ სიუჟეტად და მედიას ეხებოდა. სოციალურ საკითხებზე მომზადებული დანარჩენი მასალები რიგით მე-4 და მე-5 სიუჟეტები იყო. პირველ ბლოკში გაშუქებული სოციალური საკითხები ეხებოდა მედიას, განათლებას, უფლებებს, ჯანდაცვასა და მომსახურებას.

თარიღი	**„დღეს“, კავკასია მასალის მოკლე აღწერა**	**მასალის ტიპი**	**სიუჟეტის №**	**კატეგორია**
04.11.11	მერიის პროექტის „ათასი ახალი ჯიხურის“ ფარგლებში ქალაქში ტენდერის ჩატარებამდე ახალი ჯიხური გამოჩნდა	სიუჟეტი	1	მედია
13.10.11.	ქდმ მედია საშუალებებზე მოსალოდნელ ზეწოლაზე საუბრობს საშემოსავლო სამსახურის მხრიდან	კადრ-სინქრონი	4	მედია
17.10.11	ხმაური იყო დღეს 53-ე სკოლაში; მეთერთმეტე კლასელები ორი თანაკლასელის სკოლიდან გარიცხვას აპროტესტებენ	სიუჟეტი	4	განათლება
25.10.11	თბილისის მიკროავტობუსის მძღოლები ერთი საათით გაიფიცნენ. პროტესტის მიზეზი ფეხზე მდგომი მგზავრების გამო რამდენიმე	სიუჟეტი	4	უფლებები

	მძღოლის ასი ლარით დაჯარიმება იყო			
02.11.11	„უმუშევართა კავშირმა დასაქმებისთვის“ და „საქართველოს პედაგოგთა ასოციაციამ“ ერთობლივი აქცია გამართეს	კადრ-სინქრონი	4	უფლებები
08.11.11	ეკოლოგიური სამართლის ცენტრი თბილისის ბაღებში ინდივიდუალურ მშენებლომებეს აპროტესტებს	კადრ-სინქრონი	4	ეკოლოგია
11.11.11	„თავისუფალი დემოკრატები“ მიესალმებიან ე.წ ატსტუპნიკების საქმეში შეტანილ ცვლილებებს	კადრ-სინქრონი	4	უფლებები
14.10.11	მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევების მიხედვით საქართველო იმ ქვეყნების სიაშია სადაც თვითმკვლელობის შემთხვევები ხშირია	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
18.10.11	მეორე დღეა 53-ე სკოლის მეთერთმეტე კლასელები ორი თანაკლასელის სკოლიდან გარიცხვას აპროტესტებენ	კადრ-სინქრონი	5	განათლება
31.10.11	ე.წ „ატსტუპნიკების“ მიმართვა დავით ბაქრაძის, პავლე კუბლაშვილის და სხვა მაღალჩინოსნებისადმი	კადრ-სინქრონი	5	უფლებები
10.11.11	პენსიების ზრდა და პენსიონრების დაზღვევა 2012 წლის სექტემბრიდან	კადრ-სინქრონი	5	მომსახურება
11.11.11	ბავშვებში ნაწლავური ჩხირის ასამდე შემთხვევა გამოვლინდა	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა

მაესტროს საინფორმაციო გამოშვების პირველ ბლოკში მხოლოდ 3 სოციალური სიუჟეტი გავიდა - ერთი რიგით მესამე და ორი რიგით მე-5 იყო. სამივე სიუჟეტში მედიის საკითხები იყო გაშუქებული.

„ახალი ამბები“, მაესტრო

თარიღი	**მასალის მოკლე აღწერა**	**მასალის ტიპი**	**სიუჟეტის №**	**კატეგორია**
02.11.11	„რეზონანსი“ ჟურნალისტებზე განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობს პროდუსერების მხრიდან	სიუჟეტი	3	მედია
04.11.11	მერიის პროექტის „ათასი ახალი ჯიხურის“ ფარგლებში ქალაქში ტენდერის ჩატარებამდე ახალი ჯიხური გამოჩნდა	სიუჟეტი	5	მედია
08.11.11	ათასი ახალი ჯიხურის პროექტის პირველი ეტაპი დასრულდა	სიუჟეტი	5	მედია

მომზადებული მასალის ტიპის მიხედვით, ამ ტელევიზიებს, კავკასიის გარდა, სოციალურ საკითხებზე ძირითადად სიუჟეტები ჰქონდა მომზადებული. კავკასიას მხოლოდ 8 სიუჟეტი ჰქონდა, დანარჩენი კი კადრ-სინქრონი. რუსთავს მხოლოდ ერთი კადრ-სინქრონი ჰქონდა, პირველი არხს - 5, მაესტროს - 8, ხოლო იმედს - 2. დანარჩენ შემთხვევებში ამ ოთხმა ტელევიზამ სოციალურ საკითხებს სიუჟეტები მიუძღვნა.

თემატიკის მრავალფეროვნებას რაც შეეხება, თვალშისაცემი იყო ზოგი მწვავე თემის გაშუქების ნაკლებობა, როგორიც, მაგალითად, დევნილების საკითხია. ამ თემას კავკასიამ ერთი სიუჟეტი მიუძღვნა, ისიც პოლიტიკურ კონტექსტში („ეროვნული საბჭოს“ ინფორმაციით სახელმწიფო აფხაზეთიდან დევნილ ჯიჯელავების ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართის ჩამორთმევას აპირებს), რუსთავი 2 და პირველი არხიც თითო-თითო სიუჟეტით შემოიფარგლა ინფრასტრუქტურის თემასთან კავშირში (ახალი საცხოვრებელი უბანი ფოთში დევნილებისთვის პრეზიდენტმა გახსნა). მხოლოდ მაესტროს ჰქონდა დევნილების შესახებ ყველაზე მეტი - 5 სიუჟეტი, მათ შორის 2 ინფრასტრუქტურასთან კავშირში (ახალი საცხოვრებელი უბანი ფოთში დევნილებისთვის პრეზიდენტმა გახსნა; ფოთის ახლადაშენებული საცხოვრებელი კომპლექსი, აღფრთოვანებული პრეზიდენტი და რეალობა), 2 უფლებების კატეგორიიდან („ეროვნული საბჭოს“ ინფორმაციით სახელმწიფო აფხაზეთიდან დევნილ ჯიჯელავების ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართის ჩამორთმევას აპირებს;დევნილები ბაკურციხეში) და 1 მომსახურების კატეგორიიდან (გუდამაყრის ქუჩაზე მცხოვრები დევნილი გამოსახლების მოლოდინშია).

სათანადოდ არ შუქდება რეგიონების სოციალური საკითხები (თუ არ ჩავთვლით ინფრასტრუქტურის თემას). რუსთავი 2-ს მხოლოდ 2 სიუჟეტი ჰქონდა რეგიონებზე სოფლის მეურნეობასა და ეკოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით (ყურძნის უხვი მოსავალი კახეთში; მაღაროსკარში დასუფთავება-გამწვანების აქცია ჩატარდა). პირველმა არხმა მხოლოდ ერთი სიუჟეტი მიუძღვნა რეგიონებს (ყურძნის უხვი მოსავალი კახეთში). ტელეკომპანია იმედმა ორ სიუჟეტში გააშუქა რეგიონი და ორივე სოფლის მეურნეობის თემაზე (ყურძნის უხვი მოსავალი კახეთში; კახეთში რთველი დასასრულს უახლოვდება). კავკასიას საერთოდ არ ჰქონია მასალა რეგიონზე. ყველაზე მეტი სიუჟეტი (6) რეგიონის სოციალურ საკითხებზე მაესტროს ჰქონდა. ისინი უფლებების დაცვას, მომსახურებას, სოფლის მეურნეობას და განათლების თემას ეხებოდა (ლაგოდეხელი გია სიყმისაშვილის შარჟი - „საზეიმო გახსნა," რაც მას სამსახურის ფასად დაუჯდა; მოხნული საძოვრები თუშეთში. საპროტესტო აქციაში მონაწილე თუშები პოლიციაში დაიბარეს; პროტესტი ალავერდში. ადგილობრივები წყლით და ტყით სარგებლობის უფლებას ითხოვენ; სოფელ თელეთში მიწის დანაწილებას ელოდებიან; ქუთაისის გარეუბანში მცხოვრებლები მისამართის მინიჭებას ითხოვენ; სოფელ ფიციცხვაის სკოლის მოსწავლეების მშობლები დიმიტრი შაშკინის წინააღმდეგ).

მონიტორინგის პერიოდში სულ რამდენიმე სიუჟეტში გაშუქდა კომუნალური მომსახურების საკითხი, რაც ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ მოსახლეობას ასეთი პრობლემები არ აწუხებს (ყოველ შემთხვევაში თბილისში, ვინაიდან რეგიონებზე ცოტა მასალა მზადდება).

ყველაზე მრავალფეროვანი სოციალური თემების თვალსაზრისით პირველი არხი აღმოჩნდა. მაგალითად, მონიტორინგის პერიოდში მხოლოდ პირველ არხს ჰქონდა მომზადებული მასალები ტექნოლოგიების შესახებ (ბლექბერის ტექნიკური პრობლემები; მსოფლიოს ახალი კომპიუტერული ვირუსი ემუქრება; ახალი კომპიუტერული ვირუსი ფეისბუქს ემუქრება), რაც, უდავოდ, ბევრი ადამიანის ინტერესის საგანს წარმოადგენს.

პირველ არხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩანს დამოუკიდებელი სოციალური თემების გაშუქების ტენდენცია. ამ არხის მიერ მომზადებული სოციალური მასალები მხოლოდ მომხდარი ახალი ამბის გაშუქებით არ შემოიფარგლება.

ტელეკომპანია კავკასიის საინფორმაციო გამოშვებებში გამოიკვეთა თემის ბოლომდე მიყოლის ტენდენცია, ანუ კომპანია არ შემოიფარგლება მოვლენის მხოლოდ ერთ დღეს გაშუქებით, თუ ამ მოვლენას გაგრძელება აქვს. მაგალითად, მონიტორინგის პერიოდში საინფორმაციო პროგრამა აშუქებდა „უმუშევართა კავშირის" მიერ გამართულ ყველა აქციას (13, 21, 22 ოქტომბერს, 2 და 10 ნოემბერს); ასევე გარემოვაჭრეთა აქციებს (15, 19, 25 ოქტომბერს); სააქციო საზოგადოება „მაუდის" აქციებს (18 ოქტომბერს, 1 და 4 ნოემბერს); ე.წ. „ატსტუპნიკების" აქციებს (17, 31 ოქტომბერს, 4 და 9 ნოემბერს).

უნდა აღინიშნოს, რომ უფლებების დაცვის ასეთ აქციებს ე.წ. სახელისუფლო არხები დღის მთავარ გამოშვებებში ნაკლებად აშუქებენ. მაგალითად, პირველმა არხმა და

რუსთავი 2-მა ე.წ. „ატსტუპნიკების“ თემა მხოლოდ მაშინ გააშუქეს, როდესაც ამ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

** შენიშვნა: მონიტორინგის პერიოდში გასული სოციალური სიუჟეტების სტატისტიკა, გრაფიკები და ჩამონათვალი ტელევიზიების მიხედვით იხილეთ დანართში.*

რეკომენდაციები

- სოციალური საკითხების მეტი მრავალფეროვნება;
- სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე (მათ შორის დევნილებზე) და მათ სოციალურ პრობლემებზე სიუჟეტების მომზადება;
- რეგიონებში არსებული სოციალური საკითხების გაშუქება;
- სოციალური თემების პოლიტიზების თავიდან აცილება;
- დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სოციალური თემების მომზადება.

დანართი

1-ლი არხი

მონიტორინგის პერიოდში დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში (20:00-საათიანი „მოამბე“) 606 სიუჟეტი გავიდა. მათ შორის 85 სოციალურ თემაზე მომზადდა.



სოციალურ თემებიდან ყველაზე მეტი სიუჟეტი ეხებოდა ჯანდაცვას (24), ოდნავ ნაკლები ინფრასტრუქტურას (20), და ბევრად ნაკლები განათლებას და მომსახურებას (11-11), უფლებების დაცვას და სოფლის მეურნეობას (6-6), ეკოლოგიასა (4) და მედიას (3).



სიუჟეტების ჩამონათვალი

„მოამზე“ თარიღი	მასალის მოკლე აღწერა	მასალის ტიპი	სიუჟეტის №	კატეგორია
11.10.11	თბილისში აფთიაქები წესების დარღვევის გამო დალუქეს და ლიცენზია ჩამოართვეს	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
11.10.11	მშენებლობის ნებართვის აღება სავალდებულო ხდება; დაუსრულებელი მშენებლობების დასრულების ვადის აღება	სიუჟეტი	9	მომსახურება
11.10.11	ყურძნის უხვი მოსავალი კახეთში	სიუჟეტი	11	სოფლის მეურნეობა
12.10.11.	შიდსის გავრცელების სტატისტიკა საქართველოში	სიუჟეტი	6	ჯანდაცვა
12.10.11.	თვითნებურად მიღებული ვიტამინები ჯნმრთელობისთვის საზიანოა	სიუჟეტი	7	ჯანდაცვა
13.10.11.	სტუ-ში ახალი კომპიუტერული ცენტრი, სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია მიხეილ საკაშვილმა გახსნა	სიუჟეტი	5	განათლება
13.10.11.	ელექტრო ავტომობილები მცხეთაში	სიუჟეტი	6	ეკოლოგია
13.10.11.	სკოლები მართვის ელექტრონულ სისტემაზე გადადიან	სიუჟეტი	8	განათლება
13.10.11.	სამცხე-ჯავახეთში უძველესი ქართული საცხოვრებლების რეაბილიტაცია იწყება	სიუჟეტი	11	ინფრასტრუქტურა
14.10.11	ჯანმრთელობისთვის საშიში „ქინდერ სიურპრიზი“	სიუჟეტი	3	ჯანდაცვა
14.10.11	„თეთრი ხელჯოხი“ უსინათლო ადამიანების მსოფლიო დღეს აღნიშნავს	სიუჟეტი	10	უფლებები
14.10.11	ქართული ღვინისა და კულინარიის დღე ევროპაში	სიუჟეტი	12	სოფლის მეურნეობა
15.10.11	აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება	სიუჟეტი	1	ჯანდაცვა
15.10.11	ბლექბერის ტექნიკური პრობლემები	სიუჟეტი	2	მომსახურება
15.10.11	მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მარნის რეაბილიტაცია	სიუჟეტი	9	ინფრასტრუქტურა
15.10.11	გარე მოვაჭრეების აქცია სამგორის რაიონში	კადრ-სინქრონი	11	უფლებები
17.10.11	გარდაცვლილი პაციენტის ოჯახი ექიმების წინააღმდეგ	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
17.10.11	ახალი საცხოვრებელი უბანი ფოთში დევნილებისთვის პრეზიდენტმა გახსნა	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
17.10.11	მოსწავლეები და მშობლები 53-ე სკოლის დირექტორის წინააღმდეგ	სიუჟეტი	9	განათლება
17.10.11	განახლებული მთავარი მოედანი ქუთაისში; სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია	სიუჟეტი	10	ინფრასტრუქტურა
17.10.11	სატრანსპორტო ხუთ ლარიანი ვაუჩერები მოსახლეობას მერიისგან	სიუჟეტი	11	მომსახურება
18.10.11	იაფფასიანი კუსტარული ნარკოტიკი ოქსი	სიუჟეტი	3	ჯანდაცვა
18.10.11	პაციენტი ქირურგის წინააღმდეგ	სიუჟეტი	8	ჯანდაცვა

18.10.11	ცვლილებები ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე; ახალი ტესტები	სიუჟეტი	10	განათლება
18.10.11	საქართველოს ზამთრის კურორტების პოპულარიზაცია	სიუჟეტი	11	ინფრასტრუქტურა
18.10.11	ახალი ევროპული სასუქი -აგრობლენი.	სიუჟეტი	12	სოფლის მეურნეობა
19.10.11	მერიის ინიციატივა - თანამედროვე ჯიხურები თბილისში; ღია აუქციონი და 5 წლიანი იჯარა	სიუჟეტი	12	მედია
20.10.11	2012 წელს პენსიები გაიზრდება და პენსიონერთა დაზღვევა მოხდება; ფინანსთა მინისტრი პარლამენტში	სიუჟეტი	7	მომსახურება
21.10.11	ჯანმრთელობისთვის საშიში გასახდომი ჩაი და ყავა.	სიუჟეტი	1	ჯანდაცვა
21.10.11	მსოფლიოს ახალი კომპიუტერული ვირუსი ემუქრება	სიუჟეტი	4	მომსახურება
21.10.11	ცვლილებები საგანგებო სამსახურის ნომრებში	კადრ-სინქრონი	8	მომსახურება
21.10.11	განათლების სამინისტროსა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საბჭოს შორის მემორანდუმი გაფორმდა	სიუჟეტი	14	უფლებები
22.10.11	კლიმატური ცვლილებები და გლობალური დათბობის საფრთხე	სიუჟეტი	5	ეკოლოგია
22.10.11	ახალი რკინიგზის მშენებლობა თბილისში	სიუჟეტი	6	ინფრასტრუქტურა
22.10.11	ქუთაისში „თეთრი ხიდის“ რეაბილიტაცია დასრულდა	სიუჟეტი	7	ინფრასტრუქტურა
24.10.11	ახალი ქარხანა მცხეთაში. „აქვაგეო“-ს საწარმო მისაქციელში პრეზიდენტმა გახსნა	სიუჟეტი	4	ინფრასტრუქტურა
24.10.11	ჭავჭავაძის გამზირის რებილიტაცია ქუთაისში	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
24.10.11	პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერა	სიუჟეტი	6	ინფრასტრუქტურა
24.10.11	გიგი უგულავა ბაგა-ბაღების რეფორმასთან დაკავშირებით მასწავლებლებს და მშობლებს შეხვდა	სიუჟეტი	7	განათლება
25.10.11	საწყობის საქმიანობის ნებართვა და საზღვარზე ტვირთის გადასატანი პროცედურები მარტივდება	კადრ-სინქრონი	10	მომსახურება
25.10.11	გუდაურის რეაბილიტაცია გრძელდება	სიუჟეტი	11	ინფრასტრუქტურა
26.10.11	მგლების შემოსევა მცხეთის რაიონში	სიუჟეტი	11	ეკოლოგია
27.10.11	მცხეთის ჯვრის რესტავრაცია	სიუჟეტი	13	ინფრასტრუქტურა
27.10.11	გრიფირებული სახელმძღვანელოები მოსწავლეებისთვის	სიუჟეტი	14	განათლება
27.10.11	პოლიციის ახალი შენობა	კადრ-სინქრონი	16	ინფრასტრუქტურა
28.10.11	განახლებული ტყიბული და ახალი ობიექტები; პრეზიდენტი ტყიბულში	სიუჟეტი	7	ინფრასტრუქტურა
29.10.11	ბიოლოგიური დანამატების წამლებად გასაღება ინტერნეტით	სიუჟეტი	1	ჯანდაცვა
29.10.11	ბავშვებისათვის სავალდებულო ვაქცინაცია საქართველოში	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
29.10.11	არქეოლოგიური ტურიზმის განვითარება საქართველოში	სიუჟეტი	3	ინფრასტრუქტურა
29.10.11	თელავის რაიონში აგროტურიზმის ცენტრი გაიხსნა; პრეზიდენტი შუამთაში	სიუჟეტი	4	ინფრასტრუქტურა
29.10.11	ახალციხის რეაბილიტაცია დაიწყო	სიუჟეტი	10	ინფრასტრუქტურა
29.10.11	რთველი აჭარაში	სიუჟეტი	11	სოფლის მეურნეობა
02.11.11	ქიმიურად დაბინძურებული თამბაქო	სიუჟეტი	8	ჯანდაცვა
02.11.11	მერიის ახალი სერვისი - ქონების შეძენა ინტერნეტით	სიუჟეტი	9	მომსახურება
02.11.11	ქართული ღვინო აზიაში	სიუჟეტი	10	სოფლის მეურნეობა
02.11.11	კემპინგ ტურიზმი აჭარაში	სიუჟეტი	11	ინფრასტრუქტურა
03.11.11	დარღვევები „ნეომედში“; ჯანდაცვის სამინისტრომ კლინიკას ფუნქციონერება აუკრძალა	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
03.11.11	ცხენისა და ვირის ხორცი თბილისის ბაზარზე	სიუჟეტი	6	ჯანდაცვა
03.11.11	ქართული ღვინის წარმატება ჩინეთში	სიუჟეტი	7	სოფლის მეურნეობა
03.11.11	ახალი კომპიუტერული ვირუსი ფეისბუქს ემუქრება	სიუჟეტი	12	მომსახურება
04.11.11	პროფესიული განათლება მსჯავრდებულებისათვის	სიუჟეტი	9	განათლება
04.11.11	ლილოში ეროვნული არქივის ახალი შენობა გაიხსნა	სიუჟეტი	11	ინფრასტრუქტურ

				ა
05.11.11	5 წლამდე ბავშვთა გარდაცვალების სტატისტიკა მსოფლიოში და საქართველოში	სიუჟეტი	6	ჯანდაცვა
05.11.11	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია „ჯონსონ ენდ ჯონსონის“ წინააღმდეგ	სიუჟეტი	7	ჯანდაცვა
05.11.11	მზადება ზამთრის ტურისტული სეზონისათვის	სიუჟეტი	9	ინფრასტრუქტურ ა
05.11.11	ტექნიკური დარგებით ახალგაზრდების დაინტერესების სტრატეგია	სიუჟეტი	10	განათლება
07.11.11	პაციენტი ლაბორატორიის წინააღმდეგ	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
07.11.11	ოჯახური დაპირისპირება თუ ძალადობა ფასანაურში; 60 წლის ქალბატონი ფიზიკურ ზეწოლაზე საუბრობს	სიუჟეტი	3	უფლებები
07.11.11	დარღვევები აფთიაქებში	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
07.11.11	ჯეოსელის კლასი ყვარელში და პრეზიდენტი კახეთში	სიუჟეტი	5	განათლება
07.11.11	ინგლისურის მოხალისე პედაგოგები	სიუჟეტი	14	განათლება
07.11.11	განახლებული მზიური	სიუჟეტი	15	ინფრასტრუქტურ ა
08.11.11	ვალუტის გადამცვლელ ზოგიერთ ჯიხურში მოქალაქეებს ატყუებენ	სიუჟეტი	1	მომსახურება
08.11.11	ხორცის მიკრობიოლოგიური კვლევა; ნაწლავური ჩხირები პროდუქტში	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
08.11.11	სეზონური ვირუსები საქართველოში	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
08.11.11	„კონსერვატორული პარტიის“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი იპოდრომის ტერიტორიაზე ხეების გაჩეხვას აპროტესტებს	კადრ-სინქრონი	12	ეკოლოგია
08.11.11	ათასი ახალი ჯიხურის პროექტის პირველი ეტაპი დასრულებულია	სიუჟეტი	13	მედია
09.11.11	პენსიების ზრდა და სადაზღვევო პაკეტი	სიუჟეტი	2	მომსახურება
09.11.11	გარდაცვლილი პაციენტის დედა ექმიმებს უჩივის	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
09.11.11	კუჭნაწლავის ვირუსი საქართველოში	სიუჟეტი	6	ჯანდაცვა
10.11.11	კონტროლის ახალი მექანიზმი სურსათის უვნებლობის მხრივ	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
10.11.11	ე.წ ატსტუპნიკები ახალ წელს ქუჩაში აღარ შეხვდენიან, მერიის ახალი ინიციატივა	სიუჟეტი	6	უფლებები
10.11.11	ახალი სამსახური მოქალაქეების დასახმარებლად -112	სიუჟეტი	9	მომსახურება
11.11.11	საჯარო სკოლების საპილოტე პროგრამა სასწავლებლებში; ელექტრონული ჟურნალი.	სიუჟეტი	9	განათლება
11.11.11	საავტორო უფლებების დაცვა Myvideo.ge-ზე.	სიუჟეტი	10	მედია

კავკასია

მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანია კავკასიის დღის მთავარ გამოშვებაში (20:30-საათიანი „დღეს“) გავიდა 299 სიუჟეტი, მათ შორის სოციალურ თემატიკაზე მომზადდა 55.



ყველაზე მეტი სოციალური სიუჟეტი გავიდა უფლებების დაცვაზე (23) და ბევრად ნაკლების მომსახურებაზე (8), განათლებასა და ეკოლოგიაზე (7-7), ჯანდაცვასა და მედიაზე (5-5).



სიუჟეტების ჩამონათვალი

„დღეს“ თარიღი	მასალის მოკლე აღწერა	მასალის ტიპი	სიუჟეტის №	კატეგორია
11.10.11	რომელ ქვეყნებშია ხშირი თვითმკვლელობები, რეიტინგი	კადრ-სინქრონი	7	ჯანდაცვა
12.10.11.	ეკოლოგები ეროვნულ პარკებში ნადირობის დაშვებას აპროტესტებენ	კადრ-სინქრონი	11	ეკოლოგია
12.10.11.	რასიზმთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებით შერატონში მრგვალი მაგიდა გაიმართა.	კადრ-სინქრონი	12	უფლებები
13.10.11.	ქდმ მედია საშუალებებზე მოსალოდნელ ზეწოლაზე საუბრობს საშემოსავლო სამსახურის მხრიდან	კადრ-სინქრონი	4	მედია
13.10.11.	საქართველოს პრეზიდენტმა ტექნიკურ უნივერსიტეტში საექსპერტო ლაბორატორია გახსნა	სიუჟეტი	7	განათლება
13.10.11.	„უმუშევრობის კავშირმა დასაქმებისათვის“ დღეს პრეზიდენტის კანცელარიასთან აქცია გამართა	კადრ-სინქრონი	8	უფლებები
13.10.11.	ტელეკომპანია „თრიალეთს“ „დემოკრატიული მოძრაობა“ სოლიდარობას უცხადებს	კადრ-სინქრონი	10	მედია
14.10.11	მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევების მიხედვით საქართველო იმ ქვეყნების სიაშია სადაც თვითმკვლელობის შემთხვევები ხშირია	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
14.10.11	„თავისუფალ ასოციაციათა კავშირი“ თავდაცვის სამინისტროს მიერ ვეტერანთა დათხოვნას აპროტესტებს	კადრ-სინქრონი	7	უფლებები
15.10.11	გარემოვაჭრეებმა მეტროსადგურ სამგორთან აქცია გამართეს	კადრ-სინქრონი	7	უფლებები
17.10.11	ხმაური იყო დღეს 53-ე სკოლაში; მეთერთმეტე კლასელები ორი თანაკლასელის სკოლიდან გარიცხვას აპროტესტებენ	სიუჟეტი	4	განათლება
17.10.11	სალარო აპარატის გამოუყენლობაზე ჯარიმები შესაძლოა გამკაცრდეს	კადრ-სინქრონი	7	მომსახურება
17.10.11	„გარემოვაჭრეთა ლიგამ“ და კონსერვატორმა ლაშა ჩხარტიშვილმა დღეს პრეზიდენტის რეზიდენციასთან საპროტესტო აქცია გამართეს	კადრ-სინქრონი	9	უფლებები
17.10.11	ე.წ „ატსტუპნიკებმა“ დღეს პარლამენტთან აქცია გამართეს	კადრ-სინქრონი	10	უფლებები
18.10.11	მეორე დღეა 53-ე სკოლის მეთერთმეტე კლასელები ორი თანაკლასელის სკოლიდან გარიცხვას აპროტესტებენ	კადრ-სინქრონი	5	განათლება
18.10.11	„მაუდის“ აქციონერებმა საქართველოს პრეზიდენტს ღია	კადრ-	7	უფლებები

	წერილით მიმართეს	სინქრონი		
18.10.11	პროფკავშირების თავმჯდომარე შპს „ჰერკულესის“ ყოფილ თამანშრომლებს შეხვდა	კადრ-სინქრონი	8	უფლებები
18.10.11	ეკოომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების მოთხოვნა.	კადრ-სინქრონი	9	ეკოლოგია
18.10.11	საქართველოს მედიკოსთა ლიგა საქართველოს მოსახლეობისთვის უფასო კონსულტაციებს ჩაატარებს	კადრ-სინქრონი	10	ჯანდაცვა
19.10.11	გარემოვაჭრეები მერიის წარმოადგენლებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ	კადრ-სინქრონი	11	უფლებები
19.10.11	ვეტერანი მფრინავები პენსიების გაზრდას მოითხოვენ	კადრ-სინქრონი	12	უფლებები
21.10.11	„თავისუფალი დემოკრატები“ დასუფთავების ახალ წესს აპროტესტებენ	კადრ-სინქრონი	9	მომსახურება
21.10.11	ლაშა ჩხარტიშვილი აპროტესტებს თბილისის მერიის მიერ ახალ ჯიხურებზე ტენდერი გამოცხადებას	კადრ-სინქრონი	10	მედია
21.10.11	„ეროვნული საბჭოს“ ინფორმაციით სახელმწიფო აფხაზეთიდან დევნილ ჯიჯელავების ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართის ჩამორთმევას აპირებს	კადრ-სინქრონი	11	უფლებები
21.10.11	„უმუშევართა კავშირმა დასაქმებისთვის“ დღეს ვაკეში აქცია გამართა	კადრ-სინქრონი	13	უფლებები
22.10.11	„უმუშევართა კავშირმა დასაქმებისთვის“ აქცია ავლაბრის მეტროსთან გამართა	კადრ-სინქრონი	10	უფლებები
24.10.11	ვიქტორ დილიძე „ნიუ ჰოსპიტალში“ არსებულ ვითარებას გაეცნო	კადრ-სინქრონი	10	ჯანდაცვა
25.10.11	თბილისის მიკროავტობუსის მძღოლები ერთი საათით გაიფიცნენ. პროტესტის მიზეზი ფეხზე მდგომი მგზავრების გამო რამდენიმე მძღოლის ასი ლარით დაჯარიმება იყო	სიუჟეტი	4	უფლებები
25.10.11	გარემოვაჭრეები ახალ კანონს აპროტესტებენ	კადრ-სინქრონი	6	უფლებები
26.10.11	სტუ-ს სტუდენტები რექტორს უჩივიან	სიუჟეტი	8	განათლება
27.10.11	არასამთავრობო ორგანიზაცია „დაცული სივრცის“ წარმომადგენლების თქმით თბილისის ზღვაში ფეკალური მასები ჩაედინება	სიუჟეტი	7	ეკოლოგია
27.10.11	სტუ-ს სტუდენტები რექტორს უჩივიან	კადრ-სინქრონი	9	განათლება
27.10.11	ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია: „სოციალური დიალოგი და შრომითი სტანდარტები საქართველოში“	კადრ-სინქრონი	11	უფლებები
31.10.11	ე.წ „ატსტუპნიკების“ მიმართვა დავით ბაქრაძის, პავლე კუბლაშვილის და სხვა მაღალჩინოსნებისადმი	კადრ-სინქრონი	5	უფლებები
31.10.11	განათლების კანონში ცვლილებები შედის	კადრ-სინქრონი	7	განათლება
31.10.11	კომპანია „გლობალ ტივის“ ქუთაისში 12 არხის დამატების უფლება არ მისცეს	კადრ-სინქრონი	10	მედია
01.10.11	სააქციო საზოგადოება „მაუდის“ წვრილ აქციონერთა აქცია	კადრ-სინქრონი	6	უფლებები
02.11.11	„უმუშევართა კავშირმა დასაქმებისთვის“ და „საქართველოს პედაგოგთა ასოციაციამ“ ერთობლივი აქცია გამართეს	კადრ-სინქრონი	4	უფლებები
03.11.11	„მწვანეთა პარტია“ ხელისუფლებას ტერიტორიების გასხვისებაში ადანაშაულებს და „სატყეო რეფორმას“ აპროტესტებს	კადრ-სინქრონი	10	ეკოლოგია
03.11.11	ინფექციური საავადმყოფოს სეფსისის ცენტრის ერთ-ერთ პალატაში მცხოვრები მოქალაქეები საავადმყოფოს ადმინისტრაციას წყლისა და ელ.ენერგიის მიწოდებას სთხოვენ	კადრ-სინქრონი	11	მომსახურება
04.11.11	მერიის პროექტის „ათასი ახალი ჯიხურის“ ფარგლებში ქალაქში ტენდერის ჩატარებამდე ახალი ჯიხური გამოჩნდა	სიუჟეტი	1	მედია
04.11.11	დასუფთავების გადასახადის ელ. ენერგიასთან მიმბმის პრობლემა.	კადრ-სინქრონი	8	მომსახურება
04.11.11	„ატსტუპნიკებისა“ და „მაუდის“ აქციონერების აქცია პრეზიდენტის სასახლესთან.	კადრ-სინქრონი	10	უფლებები
05.11.11	გლდანის მოსახლეობა საცხოვრებელი კორპუსის გაზიფიცირებას ითხოვს	კადრ-სინქრონი	7	მომსახურება
05.11.11	მოძრაობა „დედაენელები“ ახალგაზრდობას დედა ენის დაცვისკენ მოუწოდებენ	კადრ-სინქრონი	10	განათლება
08.11.11	ეკოლოგიური სამართლის ცენტრი თბილისის ბაღებში ინდივიდუალურ მშენებლომებეს აპროტესტებს	კადრ-სინქრონი	4	ეკოლოგია
08.11.11	„კონსერვატორული პარტიის“ წევრი ლაშა ჩხარტიშვილი იპოდრომის ტერიტორიაზე ხეების გაჩეხვას აპროტესტებს	კადრ-სინქრონი	12	ეკოლოგია
08.11.11	საშემოსავლო სამსახურიდან გადამხდელებს შეტყობინება	კადრ-	13	მომსახურება

	ელექტრონული ვერსიით მიიღებს	სინქრონი		
09.11.11	ლოზუნგით: „უსახლკაროები სახლკარისთვის“ თბილისის მერიასთან აქცია გაიმართ	კადრ-სინქრონი	8	უფლებები
09.11.11	სპეცნომრები იცვლება	კადრ-სინქრონი	12	მომსახურება
10.11.11	პენსიების ზრდა და პენსიონრების დაზღვევა 2012 წლის სექტემბრიდან	კადრ-სინქრონი	5	მომსახურება
10.11.11	„უმუშევართა კავშირმა დასაქმებისთვის“ აქცია გამართეს	კადრ-სინქრონი	7	უფლებები
11.11.11	„თავისუფალი დემოკრატები“ მიესალმებიან ე.წ ატსტუპნიკების საქმეში შეტანილ ცვლილებებს	კადრ-სინქრონი	4	უფლებები
11.11.11	ბავშვებში ნაწლავური ჩხირის ასამდე შემთხვევა გამოვლინდა	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
11.11.11	„ხუდონჰესის“ სამშენებლო კომპანიამ ელექტროსადგურის მიერ გარემოზე და მოსახლეობაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო	კადრ-სინქრონი	6	ეკოლოგია

მაესტრო

მონიტორინგის პერიოდში დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში (21:00-საათიანი „ახალი ამბები“) 357 სიუჟეტი გავიდა, მათ შორის 42 სოციალურ თემაზე.



თემატური კლასიფიკაციის მიხედვით, ყველაზე მეტი ეხებოდა უფლებების დაცვას (14), რომელსაც დიდი სხვაობით ჩამორჩებოდა მედია (6), განათლება და მომსახურება (5-5), ინფრასტრუქტურა (4) და სოფლის მეურნეობა და ეკოლოგია (3-3).



სიუჟეტების ჩამონათვალი

„ახალი ამბები“

თარიღი	**მასალის მოკლე აღწერა**	**მასალის ტიპი**	**სიუჟეტის №**	**კატეგორია**
12.10.11.	არასამთავრობოები სატყეო რეფორმას აპროტესტებენ	სიუჟეტი	8	ეკოლოგია
14.10.11	თბილისის ქუჩებში 2013 წლისათვის თანამედროვე ტრამვაი გამოჩნდება	სიუჟეტი	10	ინფრასტრუქტურა
17.10.11	მიხეილ სააკაშვილმა დღეს ფოთში 32 ბინიანი საცხოვრებელი გახსნა	კადრ-სინქრონი	7	ინფრასტრუქტურა
17.10.11	53-ე სკოლის მოსწავლეები და მშობლები დირექტორის წინააღმდეგ	სიუჟეტი	10	განათლება
18.10.11	გია სიყმისაშვილს შარჟი - „საზეიმო გახსნა“, სამსახურის ფასად დაუჯდა	სიუჟეტი	7	უფლებები
18.10.11	ფოთის ახლადაშენებული საცხოვრებელი კომპლექსი, აღფრთოვანებული პრეზიდენტი და რეალობა.	სიუჟეტი	8	ინფრასტრუქტურა
19.10.11	სტუდენტები თდასუ-ს წინააღმდეგ.	სიუჟეტი	13	განათლება
19.10.11	მოხნული საძოვრები თუშეთში. საპროტესტო აქციაში მონაწილე თუშები პოლიციაში დაიბარეს.	სიუჟეტი	14	უფლებები
20.10.11	ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედალი სამ ჟურნალისტს გადაეცა	კადრ-სინქრონი	13	მედია
21.10.11	„ვაკის პარკმა“ სოციალურ-პოლიტიკურ თემაზე კლიპი ჩაწერა- „მიშა მშია“	სიუჟეტი	9	უფლებები
21.10.11	ჰოლანდიაში გარდაცვლილის ოჯახს სახელმწიფო გადმოსვენების ხარჯებით ვერ ეხმარება	სიუჟეტი	12	მომსახურება
24.10.11	პრეზიდენტმა სააკაშვილმა გორში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერა	სიუჟეტი	8	ინფრასტრუქტურა
24.10.11	პროტესტი ალავერდში; ადგილობრივები წყლით და ტყით სარგებლობის უფლებას ითხოვენ	კადრ-სინქრონი	10	მომსახურება
25.10.11	მძღოლებს მიკროავტობუსებში მგზავრების ფეხზე დაყენება შეეძლებათ	სიუჟეტი	9	მომსახურება
25.10.11	სოფელ თელეთში მიწის დანაწილებას ელოდებიან	სიუჟეტი	10	სოფლის მეურნეობა
25.10.11	პირველი ჯგუფის ინვალიდს დახმარება მოუხსნეს	სიუჟეტი	11	მომსახურება
26.10.11	ექიმებს გარდაცვლილი ჩვილის მშობლები უჩივიან	სიუჟეტი	7	ჯანდაცვა
26.10.11	გუდამაყრის ქუჩაზე მცხოვრები დევნილი გამოსახლების მოლოდინშია	კადრ-სინქრონი	10	მომსახურება
26.10.11	სტუ-ის სტუდენტები რექტორის წინააღმდეგ.	სიუჟეტი	11	განათლება
27.10.11	რამდენად რეალურია 45-60 წლამდე მოქალაქეების დასაქმება	სიუჟეტი	7	უფლებები
27.10.11	ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა	სიუჟეტი	8	სოფლის მეურნეობა
27.10.11	არსამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცის“ ინფორმაციით თბილისის ზღვაში ფეკალური მასები ჩაედინება	სიუჟეტი	10	ეკოლოგია
28.10.11	აფხაზეთიდან დევნილი ჯიჯელავების ოჯახი მეოთხე საავადმყოფოზე მდებარე ფართიდან გამოასახლეს	სიუჟეტი	6	უფლებები
29.10.11	„ხუდონჰესის“ მშენებლობა დასახლებულ ობიექტებთან ახლოს და მოსახლეობის გადასახლების მოლოდინი	სიუჟეტი	8	უფლებები

29.10.11	საპროტესტო აქცია სოციალური მოთხოვნებით პარლამენტთან	კადრ-სინქრონი	9	უფლებები
01.11.11	მთავრობა მესამე წელია პენსიის 100$-მდე გაზრდას გეგმავს	სიუჟეტი	9	მომსახურება
02.11.11	„რეზონანსი“ ჟურნალისტებზე განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობს პროდუსერების მხრიდან	სიუჟეტი	3	მედია
02.11.11	ქუთაისის გარეუბანში მცხოვრებლები მისამართის მინიჭებას ითხოვენ	სიუჟეტი	10	მომსახურება
02.11.11	136-ე სკოლაში სარემონტო სამუშაოები სწავლის პარალელურად მიმდინარეობს	სიუჟეტი	11	განათლება
04.11.11	მერიის პროექტის „ათასი ახალი ჯიხურის“ ფარგლებში ქალაქში ტენდერის ჩატარებამდე ახალი ჯიხური გამოჩნდა	სიუჟეტი	5	მედია
04.11.11	დევნილები ბაკურციხეში	სიუჟეტი	8	უფლებები
07.11.11	ჟურნალისტ ლადო ბიჭიშვილის განცხადებით, მას ემუქრებიან	კადრ-სინქრონი	8	მედია
08.11.11	ათასი ახალი ჯიხურის პროექტის პირველი ეტაპი დასრულდა	სიუჟეტი	5	მედია
08.11.11	ჰიბრიდული სიმინდის ექსპორტი	სიუჟეტი	8	სოფლის მეურნეობა
08.11.11	დამწვრობის ცენტრის ექიმები მათი დაწესებულების მეხუთე რეფერალურ საავადმყოფოსთან შეერთებას აპროტესტებენ	სიუჟეტი	9	ჯანდაცვა
09.11.11	პენსიების ზრდის და დაზღვევის საკითხი	სიუჟეტი	6	მომსახურება
09.11.11	ლაშა ჩხარტიშვილი ზეწოლაზე საუბრობს	კადრ-სინქრონი	9	უფლებები
10.11.11	„თრიალეთის“ ხელმძღვანელობა მუქარასა და ზეწოლაზე საუბრობს	სიუჟეტი	9	მედია
10.11.11	ადვოკატ ირინა საღინაძის ინფორმაციით მასზე ზეწოლა გრძელდება	კადრ-სინქრონი	10	უფლებები
10.11.11	სოფელ ფიციცხვაის სკოლის მოსწავლეების მშობლები დიმიტრი შამკინის წინააღმდეგ.	სიუჟეტი	11	განათლება
11.11.11	„ხუდონჰესის“ სამშენებლო კომპანიამ ელექტროსადგურის მიერ გარემოზე და მოსახლეობაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო	სიუჟეტი	9	ეკოლოგია
11.11.11	ე.წ ატსტუპნიკები ახალ წელს ქუჩაში აღარ შეხვდენიან, მერიის ახალი ინიციატივა	სიუჟეტი	11	უფლებები

იმედი

მონიტორინგის პერიოდში დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში (20:00-საათიანი „ქრონიკა“) 365 სიუჟეტი გავიდა, მათ შორის 41 სოციალურ თემაზე.



ყველაზე მეტი სიუჟეტი მომზადდა ჯანდაცვაზე (12), რომელსაც მოსდევდა ინფრასტრუქტურა (10), მომსახურება (8), განათლება (6), სოფლის მეურნეობა (3), და ეკოლოგია და უფლებების დაცვა (თითო-თითო).



სიუჟეტების ჩამონათვალი

„ქრონიკა“ თარიღი	მასალის მოკლე აღწერა	მასალის ტიპი	სიუჟეტის №	კატეგორია
11.10.11	ყურძნის უხვი მოსავალი კახეთში.	სიუჟეტი	9	სოფლის მეურნეობა
12.10.11.	ჭიათურაში კაცხის სვეტამდე მისასვლელი გზა გაკეთდა	სიუჟეტი	3	ინფრასტრუქტურა
12.10.11.	რას შეიცავს კოფეინი და უტოლდება თუ არა ის ნარკოტიკების მოქმედებას	სიუჟეტი	9	ჯანდაცვა
13.10.11.	სტუ-ში ახალი კომპიუტერული ცენტრი, სასწავლო-სამენცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია მიხეილ სააკაშვილმა გახსნა	სიუჟეტი	4	განათლება
15.10.11	კახეთში რთველი დასასრულს უახლოვდება.	სიუჟეტი	3	სოფლის მეურნეობა
17.10.11	ახალი საცხოვრებელი უბანი ფოთში დევნილებისთვის პრეზიდენტმა გახსნა	სიუჟეტი	4	ინფრასტრუქტურა
17.10.11	ხმაური იყო დღეს 53-ე სკოლაში. მოსწავლეები და მშობლები დირექტორის წინააღმდეგ	სიუჟეტი	8	განათლება
18.10.11	აუთვისებელი თანხები და დარღვეული სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ჯანდაცვის სფეროში. კონტროლის პალატის დასკვნა.	სიუჟეტი	6	ჯანდაცვა
18.10.11	გიორგი ტუღუში გაეროშია. სახალხო დამცველი წამების წინააღმდეგ კომიტეტის წევრი გახდა.	კადრ-სინქრონი	8	უფლებები
20.10.11	2012 წელს პენსიები გაიზრდება და პენსიონერთა დაზღვევა მოხდება. ფინანსთა მინისტრი პარლამენტში.	სიუჟეტი	5	მომსახურება
21.10.11	ცვლილებები საგანგებო სამსახურის ნომრებში.	სიუჟეტი	11	მომსახურება
24.10.11	ახალი ქარხანა მცხეთაში. „აქვაგეო“-ს საწარმო მისაქციელში პრეზიდენტმა გახსნა.	სიუჟეტი	6	ინფრასტრუქტურა
24.10.11	პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერა.	სიუჟეტი	8	ინფრასტრუქტურა
24.10.11	გიგი უგულავამ ბაგა ბაღების რეფორმასთან დაკავშირებით მასწავლებლებს და მშობლებს შეხვდა.	სიუჟეტი	9	განათლება
25.10.11	განახლებული გუდაური.	სიუჟეტი	6	ინფრასტრუქტურა
25.10.11	საწყობის საქმიანობის ნებართვა და საზღვარზე ტვირთის გადასატანი პროცედურები მარტივდება.	კადრ-სინქრონი	8	მომსახურება
25.10.11	სერტიფიცირებულმა მასწავლებლებმა დღეს ათასლარიანი ხელფასი პირველად აიღეს.	სიუჟეტი	9	განათლება
25.10.11	ავტოსაგზაო შემთხვევათა საგანგაშო სტატისტიკა. რატომ არ სარგებლობენ მიწისქვეშა გადასასვლელებით გამვლელები.	სიუჟეტი	13	მომსახურება
26.10.11	ტყიბულის ახალი თბოელექტროსადგური და სამკერვალო ფაბრიკა.	სიუჟეტი	6	ინფრასტრუქტურა

26.10.11	ექიმებს გარდაცვლილი ჩვილის მშობლები უჩივიან.	სიუჟეტი	9	ჯანდაცვა
28.10.11	განახლებული ტყიბული და ახალი ობიექტები.	სიუჟეტი	2	ინფრასტრუქტურა
29.10.11	თელავის რაიონში აგრო ტურიზმის ცენტრი გაიხსნა.პრეზიდენტი შუამთაში	სიუჟეტი	2	ინფრასტრუქტურა
29.10.11	სტომატოლოგიური მოსახურეობა მსჯავრდებულებისათვის.	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
31.10.11	საგანმანათლებლო ონლაინ თამაში. საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება.	სიუჟეტი	5	განათლება
31.10.11	საქართველოში CO-თი ინტოქსიკაციის შემთხვევები.	სიუჟეტი	13	ჯანდაცვა
02.11.11	„ბაუერ მედი“, მკურნალობა გერმანიაში.	სიუჟეტი	12	ჯანდაცვა
02.11.11	აივ ინფექციის გახშირებული შემთხვევები.	სიუჟეტი	14	ჯანდაცვა
03.11.11	ქართული ღვინის წარმატება ჩინეთში. მიხეილ საკაშვილი ყვარელში ქართული ღვინის წარმატებაზე.	სიუჟეტი	4	სოფლის მეურნეობა
03.11.11	ცხენისა და ვირის ხორცი თბილისის ბაზარზე.	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
03.11.11	გადაშენებას გადარჩენილი ქართული ენდემური ჯიშები და მილენიუმის პროგრამა	სიუჟეტი	13	ეკოლოგია
04.11.11	დეზომორფინის მოხმარება და მისი შედეგები.	სიუჟეტი	3	ჯანდაცვა
04.11.11	ცერებრალური დამბლით დაავადებული მოზარდის მკურნალობა, დაზარალებული მოზარდი და სარცელი ექიმის წინააღმდეგ.	სიუჟეტი	4	ჯანდაცვა
04.11.11	თბილისის შემოგარენში დამისამართების პროცესი დასრულდა.	სიუჟეტი	10	მომსახურება
07.11.11	არის თუ არა გრიპის ეპიდემია მოსალოდნელი საქართველოში.	სიუჟეტი	2	ჯანდაცვა
07.11.11	ჯეოსელის კლასი ყვარელში და პრეზიდენტი კახეთში.	სიუჟეტი	4	განათლება
07.11.11	ბახმაროს რეაბილიტაცია იწყება.	სიუჟეტი	12	ინფრასტრუქტურა
09.11.11	პენსიების ზრდა და სადაზღვევო პაკეტი.	სიუჟეტი	4	მომსახურება
09.11.11	მამა რომელიც ცხრა შვილს მარტო ზრდის.	სიუჟეტი	7	მომსახურება
10.11.11	2012 წლის სექტემბრიდან პენსიონრები დაზღვევას და გაზრდილ პენსიას მიიღებენ.	სიუჟეტი	10	მომსახურება
10.11.11	საგანგებო სამსახურების ნომრების პირველი ინდექსები იცვლება.	სიუჟეტი	12	მომსახურება
11.11.11	ნაწლავის ბაქტერია-შიგელოზი ბავშვებში და ასამდე დაავადებული ბავშვი	სიუჟეტი	8	ჯანდაცვა

რუსთავი-2

მონიტორინგის პერიოდში დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში (21:00-საათიანი „კურიერი“) 543 სიუჟეტი გავიდა. 39 ეხებოდა სოციალურ თემატიკას.



სოციალურ თემებზე მომზადებულ სიუჟეტებს შორის ყველაზე მეტი ეხებოდა ინფრასტრუქტურასა და განათლებას (11-11), რომელსაც მოსდევდა მომსახურება (6),

ჯანდაცვა (4), სოფლის მეურნეობა (3), უფლებების დაცვა (2), ეკოლოგია და მედია (თითო-თითო).



სიუჟეტების ჩამონათვალი

„კურიერი:“ თარიღი	მასალის მოკლე აღწერა	მასალის ტიპი	სიუჟეტის №	კატეგორია
11.10.11	ყურძნის უხვი მოსავალი კახეთში	სიუჟეტი	9	სოფლის მეურნეობა
13.10.11.	სტუ-ში ახალი კომპიუტერული ცენტრი, სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია მიხეილ სააკაშვილმა გახსნა	სიუჟეტი	6	განათლება
13.10.11.	განახლებული მცხეთა	სიუჟეტი	7	ინფრასტრუქტურა
14.10.11	ქართული ქვევრის ღვინო ევროპაში	სიუჟეტი	12	სოფლის მეურნეობა
15.10.11	საბავშვო ნეტ-ბუქების სასწავლო უპირატესობები	სიუჟეტი	5	განათლება
15.10.11	წინანდლის ბაღს პირვანდელი სახე უბრუნდება	სიუჟეტი	6	ინფრასტრუქტურა
17.10.11	ახალი საცხოვრებელი უბანი ფოთში დევნილებისთვის პრეზიდენტმა გახსნა	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
17.10.11	მოსწავლეები და მშობლები 53-ე სკოლის დირექტორის წინააღმდეგ	სიუჟეტი	7	განათლება
17.10.11	სატრანსპორტო ხუთლარიანი ვაუჩერები მოსახლეობას მერიისგან	სიუჟეტი	8	მომსახურება
18.10.11	სიახლე თბილისის აეროპორტებში	კადრ-სინქრონი	11	მომსახურება
19.10.11	ბრენდირებული სკოლები	სიუჟეტი	9	განათლება
19.10.11	თანამედროვე ჯიხურები თბილისში. ღია აუქციონი და 5-წლიანი იჯარა - მერიის ინიციატივა	სიუჟეტი	10	მედია
20.10.11	2012 წელს პენსიები გაიზრდება და პენსიონერთა დაზღვევა მოხდება. ფინანსთა მინისტრი პარლამენტში.	სიუჟეტი	6	მომსახურება
21.10.11	ნიუ-იორკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პრეზიდენტი ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტის გასაცნობად ჩავიდა	სიუჟეტი	5	განათლება
22.10.11	მაღაროსკარში დასუფთავება-გამწვანების აქცია ჩატარდა	კადრ-სინქრონი	13	ეკოლოგია
24.10.11	მიხეილ სააკაშვილმა გორში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერა	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
24.10.11	გიგი უგულავა ბაგა-ბაღების რეფორმასთან დაკავშირებით მასწავლებლებს და მშობლებს შეხვდა	სიუჟეტი	8	განათლება
25.10.11	ტყიბულის რეაბილიტაცია	სიუჟეტი	7	ინფრასტრუქტურა
25.10.11	განახლებული გუდაური	სიუჟეტი	10	ინფრასტრუქტურა
25.10.11	სერტიფიცირებულმა მასწავლებლებმა დღეს ათასლარიანი	სიუჟეტი	11	განათლება

	ხელფასი პირველად აიღეს			
26.10.11	ექიმებს გარდაცვლილი ჩვილის მშობლები უჩივიან	სიუჟეტი	6	ჯანდაცვა
28.10.11	განახლებული ტყიბული და ახალი ობიექტები; პრეზიდენტი ტყიბულში	სიუჟეტი	5	ინფრასტრუქტურა
28.10.11	ფოთში ახალი სამაცივრე საწყობი გაიხსნა	კადრ-სინქრონი	10	ინფრასტრუქტურა
29.10.11	ოჯახური ძალადობა და თავშესაფრები	სიუჟეტი	2	უფლებები
29.10.11	თელავის რაიონში აგროტურიზმის ცენტრი გაიხსნა; პრეზიდენტი შუამთაში	სიუჟეტი	4	ინფრასტრუქტურა
01.10.11	სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“	სიუჟეტი	7	ინფრასტრუქტურა
03.11.11	ქართული ღვინის წარმატება ჩინეთში	სიუჟეტი	3	სოფლის მეურნეობა
03.11.11	ცხენისა და ვირის ხორცი თბილისის ბაზარზე	სიუჟეტი	5	ჯანდაცვა
03.11.11	ახალციხის რეაბილიტაცია	სიუჟეტი	10	ინფრასტრუქტურა
05.11.11	ინგლისურის გაძლიერებული სწავლება სკოლებში; მოხალისე ახალგაზრდა მასწავლებლების შერჩევა	სიუჟეტი	4	განათლება
07.11.11	ჯეოსელის კლასი ყვარელში და პრეზიდენტი კახეთში	სიუჟეტი	4	განათლება
08.11.11	იუნისეფის დასკვნა საქართველოში განათლების ხელმისაწვდომობაზე	სიუჟეტი	6	განათლება
09.11.11	პენსიების ზრდა და სადაზღვევო პაკეტი (ხელისუფლების ინიციატივა)	სიუჟეტი	3	მომსახურება
09.11.11	ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა; სწავლება ბავშვებს	სიუჟეტი	6	ჯანდაცვა
10.11.11	2012 წლის სექტემბრიდან პენსიონრები დაზღვევას და გაზრდილ პენსიას მიიღებენ	სიუჟეტი	5	მომსახურება
10.11.11	ე.წ ატსტუპნიკებს საცხოვრებელ სახლში ცხოვრების უფლება ეძლევათ	სიუჟეტი	6	უფლებები
11.11.11	შემოსავლების სამსახურის შეღავათი მცირე მეწარმეებისთვის	სიუჟეტი	7	მომსახურება
11.11.11	საჯარო სკოლების საპილოტე პროგრამა სასწავლებლებში; ელექტრონული ჟურნალი	სიუჟეტი	9	განათლება
11.11.11	ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა ჭიათურაში	სიუჟეტი	10	ჯანდაცვა